ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი №01-07/08

დაბა ქედა, 14 ივნისი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 16:35 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ზაზა დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ირაკლი მახარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/08 ბიუროს სხდომა

14 ივნისი, 2022 წელი

№	სახელი გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 ივნისის №01-07/08 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №01-06/09 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 ივნისის №01-07/08 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, როგორც მისთვის ცნობილი იყო ბიუჯეტის კორექტირებაზე ზეპირი მოსმენის სხდომა ჩანიშნული იყო 14 ივნისს დღის 4 საათზე, თუმცა აღმოჩნდა, რომ 4 საათზე ბიუროს სხდომა ჩაინიშნა, დავით სირაბიძის თქმით მან წინა სხდომაზეც ითხოვა, რომ საკითხი, რომელიც საზოგადოების მაღალი ინტერესის მქონე დოკუმეტს წარმოადგენდა, მისი განხილვა ფრაქციებისა და კომისიების დონეზე მომხდარიყო, ფრაქციამ 13 ივნისს 18 საათამდე შენიშვნებიც კი წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში და 14 ივნისს ჩანიშნულ ზეპირი მოსმენის სხდომაზეც აპირებდა დასწრებას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კომისიამ სხდომა 3 საათზე ჩაატარა, რის გამოც დავით სირაბიძე ვერ დაესწრო კომისიის სხდომას, აქვე აღნიშნა, რომ 3 საათზე მიმდინარე სხდომა კომისიის სხდომად ჩათვალა, რადგან ზეპირი მოსმენის საათობად განსაზღვრული 14 ივნისის დღის 4 საათი იყო. ამიტომ მან უკმაყოფილება გამოთქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით და სხდომის თავმჯდომარეს მიმართა თუ რატომ და რა სამართლებრივი მიზეზით მოხდა ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარება 3 საათზე, მაშინ როცა განკარგულების ცნობაში, რომელიც ამავდროულად მუნიციპალიტეტის ვებგვერდზეცაა გამოქვეყნებული 14 ივნისის 16:00 საათით იყო განსაზღვრული. ,,საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა და მსგავსი შეცდომა არ უნდა ხდებოდეს, რადგან ბიუჯეტი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისაა, მის განხილვაზე დასწრების სურვილი შეიძლება მოქალაქეებსაც ჰქონდეს და მსგავსი ფაქტის გამო შეცდომაში შეიძლება შევიდნენ, ამიტომ ეს არასწორია“ - განაცხადა დავით სირაბიძემ. აქვე აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზეც არ ესწრებოდა მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი და კარგი იქნებოდა თუ ბიუროს სხდომაზეც მოხდებოდა შესაბამისი სამსახურის დასწრება, რადგან საკითხის ირგვლივ ჰქონდათ შეკითხვები, რომელიც ბიუჯეტის კორექტირების დოკუმენტში დეტალურად არ იყო ჩაშლილი. მაგალითისათვის კი თქვა საფეხბურთო კლუბი ,,ბეთლემი“-ს სპორტული ინვენტარის

შემენისათვის გამოყოფილი იყო 10 000 ლარი, თუმცა დოკუმენტში ვერ კითხულობდა კონკრეტულად რა სპორტული ინვენტარის შემენა ხდებოდა. ასევე დოკუმენტში ეწერა დაბა ქედის ტერიტორიაზე შენდებოდა მრავალფუნქციური შენობა, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 300 000 ლარი, თუმცა დაბის რომელ ტერიტორიაზე რა შენდებოდა მისთვის გაუგებარი იყო და ა.შ. მთელი რიგი საკითხები იყო რომელთა დაზუსტება/კონკრეტიკა სჭირდებოდათ. დავით სირაბიძემ ასევე იკითხა იყო თუ არა წარმოდგენილი ბიუჯეტის კორექტირებასთან დაკავშირებით უმრავლესობის მხრიდან შენიშვნები და ინიცირებები.

ბიუროს სხდომაზე დამსწრე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ იკითხა რაგბის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებდა მუნიციპალიტეტი, რადგან როგორც ცნობილი იყო რაგბს მუნიციპალიტეტში არ გააჩნია მოედანი, წვრთვნებს ქედის მორაგბეები სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადიოდნენ, არც რაგბის ადმინისტრაციას გააჩნდა ოფისი.

კითხვებთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ ზეპირი მოსმენის სხდომის ფაქტს რაც შეეხებოდა ეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო და სხვა არაფერი. ბიუროს სხდომაზე მერიის შესაბამისი სამსახურის დასწრებასთან დაკავშირებით თქვა, რომ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე მივლინებით თბილისში იმყოფებოდა და ამიტომ ვერ მოხდა მისი დასწრება, თუმცა 15 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე მომხსენებლად ამ სამსახურიდან წარმოდგენილი იქნებოდა შესაბამისი თანამშრომელი, ასევე მერიის სამსახურების უფროსები და თითოეულ საკრებულოს წევრს შეეძლებოდათ მიეღოთ კითხვებზე პასუხები. ,,ბეთლემი"-ს სპორტულ ინვენტართან დაკავშირებით ამირან ცინცაძემ აღნიშნა, რომ თვითონაც არ ფლობდა დეტალურ ინფორმაციას კონკრეტულად, თუ რა სპორტულ ინვენტარზე იყო საუბარი, თუმცა ხვალინდელ რიგგარეშე სხდომაზე მომხსენებელი დააზუსტებდა ამ საკითხსაც. მრავალფუნქციურ შენობას რაც შეეხებოდა, ამირან ცინცაძის თქმით ეს იყო ძველი საავადმყოფოს ტერიტორია, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, სადაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი აშენდება. ბიუჯეტის პროექტზე შენიშვნებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ უმრავლესობიდან შენიშვნები არ ყოფილა. ,,ყველა საკითხი ჩვენ თემების მიხედვით მანამდეც გავიარეთ და ეტაპობრივად ხდება თითოეულის გათვალისწინებაც და გაკეთებაც" - განაცხადა ამირან ცინცაძემ.

რაგბის საკითხთან დაკავშირებით არჩილ გორგილაძემ განმარტა, რომ შპს ,,სარაგბო კლუბ ფირალები"-ს ადმინისტრაციას სამუშაო ფართი მალე ექნებოდა, მოედნის საკითხს რაც შეეხებოდა დაბის ტერიტორიაზე ვერ მოხერხდა შესაბამისი მიწის ნაკვეთის ნახვა, რომელიც იმ სტანდარტებს დააკმაყოფილებდა, რაც რაგბის მოედნისათვის იყო საჭირო. ამ ეტაპისათვის სკოლის აღსაზრდელები წვრთნებს მახუნცეთის ტერიტორიაზე, ხოლო სარაგბო გუნდი ბათუმში გადიოდა.

1. **მოისმინეს:** „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად და აქვე განმარტა, რომ საკითხზე 9 ივნისიდან

მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება №გ-95.95221601 განკარგულებით, (წერილის ნომერი: 12-95221574-95, 06.06.2022 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/09 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსის მ.შ. გიორგი მგზავრიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე.

ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №01-06/09 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების
განყოფილების უფროსის მ.შ.: გიორგი მგზავრიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №01-06/09 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);

3. დამტკიცებული დღის წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და
საორგანიზაციო განყოფილების პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
საქმისწარმოების საკითხებში
ნონა ბერიძე